ხელშეკრულება № 55

მომსახურების გაწევის თაობაზე

„04.09 სექტემბერი" 2017წ. (CPV-90900000)

ქ. თბილისი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთი მხრივ ა.ა.ი.პ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საჯმზრდელო საგანმანათლებლო სკოლამდელ დაწესებულებათა ცენტრი (შემდგომში „შემსყიდველი") დირექტორი : ქეთინო გელაშვილი და მეორე მხრივ, შპს „ჯიერ კომპანი" მისი დირექტორის გიორგი დიდებულიძის სახით, შემდგომში „შემსრულებელი", შევთანხმდით და დავდეთ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად „შემსრულებელი" უზრუნველყოფს დეზინფექცია, დეზინსექცია, დერატიზაციის სამუშაოების ჩატარებას მისამართზე: ა.ა.ი.პ ყაზბეგის მუნიციპალიტეტში შემავალ 6 საბავშვო ბაღში.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

2.1. „შემსყიდველი" ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით და ოდენობით.

2.2. „შემსყიდველი" უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსრულებელს" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.

2.3 შემსრულებელი ვალდებულია:

2.3.1. მოახდინოს წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული „მომსახურების" გაწევა მოქმედი ნორმატიული აქტების მეთოდიკის გათვალისწინებით.

2.3.2. კეთილსინდისიერად და დროულად შეასრულოს მასზე ამ ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობები.

2.4. „ შემსრულებელი" უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.

3. „მომსახურების" ხარისხი:

3.1. „შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს „შემსყიდველის" მოთხოვნებს.

3.2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. „მომსახურების" გაწევის წესი, მიღება-ჩაბარების წესი, ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ადგილი

4.1. „მომსახურების " გაწევა განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

4.2. მომსახურეობის თანხა შეადგენს:

დასახელება	ფართობი	ერთეულის ფასი	ერთჯერადი დამუშავების ღირებულება
დ. სტეფანწმინდის ბაგა-ბაღი	436კვმ	0,797	347,49
გერგეთის საბ. ბაღი	144კვმ	0,797	114,76
სნოს ბაგა-ბაღი	230კვმ	0,797	183,31
არშა-გარბნის ბაგა-ბაღი	450კვმ	0,797	358,65
სიონის ბაგა ბაღი	224კვმ	0,797	178,52
გორისციხის საბ. ბაღი	84,5კვმ	0,797	66,94
		სულ	1249,67

4.3. „შემსრულებელს" და „შემსყიდველს" შორის სამუშაოს შესრულებისას ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა მიერ უფლებამოსილი პირები

5.გარანტია, პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა.

5.1. მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და /ან დარღვევა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.2. „მომსახურების" გაწევის შედეგად „შემსყიდველისთვის" ან მისი თანამშრომლებისათვის მიყენებული ნებისმიერი ზიანის ანაზღაურება ეკისრება „შემსრულებელს".

5.3. მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

5.4. ზიანის ანაზღაურება და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მოვალეობისაგან.

5.5.ხელშეკრულებიდან ვადამდე გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა.

6. მხარეთა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება

6.1. მხარეები არ აგებენ პასუხს ვალდებულებათა სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით (მიწისძვრა, წყალდიდობა, სახელმწიფო გადატრიალება და სხვა გარემოებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეებზე და ითვლებიან ფორს-მაჟორულ გარემოებებად.

6.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

6.3. წერილობით შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.

6.4. მხარეები ანახლებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისათვის.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა:

7.1. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის გარემოებები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით.

7.2. „შემსრულებელთან" დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად „შემსყიდველისთვის" იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები.

7.3. თუ წინამდებარე ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ერთ-ერთი მხარე წერილობით არ შეატყობინებს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება.

8. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და, მოქმედეს ვალდებულებების სრულ ამოწურვამდე.

8.2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

9. დასკვნითი დებულებები

9.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად.

9.2. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი წყდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

9.3. ხელშეკრულებაში შეტანილი ყველა ცვლილება და დამატება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

9.4. ხელშეკრულების ცალკეული მუხლის და/ან პუნქტის ბათილობა ან ძალადაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა ნაწილების ნამდვილობაზე.

9.5. ნებისმიერი ცვლილება/დანართი/ დამატება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მხარეთა იურიდიული მისამართები და ხელმოწერები:

დამკვეთი:	შემსრულებელი:
ა.ა.ი.პ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საადმზრდელო საგანმანათლებლო სკოლამდელ დაწესებულებათა ცენტრი მის:დ.სტეფანწმინდა აღმაშენებლის 9 ს/კ 241499552 დირექტორი: ქეთინო ზელაშვილი პ.599959003	შპს „ჯიერ კომპანი" თბილისი 0162, კედიას ქ.№3 საქართველოს ბანკის ცენტრალურიფილიალი ანგ. GE04BG0000000262868701 ბანკისკოდი:BAGAGE22 დირექტორი: გიორგი დიდებულიძე პ. 593211041